


БЪДАПЕШТЕ

ԵՎԵՐԱԳՐՈՒԹՅՈՒՆ-ՄԱՐԿՈՎՅԱՆ



-1919-

25060 № 5

ମହାଶ୍ରୀବନ୍ଦି

କାନ୍ତପାତ୍ର ପାତ୍ର
ପ୍ରକାଶକ ପାତ୍ର
ପ୍ରକାଶକ ପାତ୍ର

୩୦ ଫେବୃଆରୀ ୧୯୧୦ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପାତ୍ର ।

୨୭୩



“ଶେଷତାରୀ” — ଗାଁର୍ବନ୍ଧୁର ଲେଖନାଳୀ ।

ବାରିଧାରି



I—“ନାମତାରି”—ଲାପନନ୍ଦନ କୃତଃତା	1
II—ନାଯାଦୁଲ୍ଲାଳ,—ଲ୍ୟାକ୍ଷମୀ କ. ପ୍ରଥମାଦିଶ୍ଵରିଲୀଲା	3
III—କ୍ଷେତ୍ର ପାରିଦା,—ପର. ପ୍ରେଷଣାଶ୍ଵରିଲୀଲା	5
IV—ନବଲ୍ଲେଖି,—ପ. ମହାକାଶ୍ଵରିଲୀଲା	13
V—ଦେଲିଲ ପିନାବାଲମଦ୍ୟେ, ନ. ଭ୍ରମନ୍ ରୂପ୍ୟେରାତ୍ମିଳି—(ପାଠ୍ୟ)	
ଜ୍ଞାନ. ଅନୁଭବାଶ୍ଵରିଲୀଲା	25
VI—ପାରିଦେଖିଲ ସାମ୍ରାଜ୍ୟ, (ପାଠ୍ୟମନି)—ଲାମାର ଲାଲଶିଖରିଲୀଲା	30
VII—ପାରିଦେଖିଲ ଶୁନ୍ଦରୀଜାନ୍ମି,—ୱ. ପାଠ୍ୟ	38
VIII—ବ୍ୟାକିନ୍ଦିନ ପଥିଳା, (ପାଠ୍ୟମନି),—ୱ. ପାଠ୍ୟମନିରତ୍ନଲୀଲା	42
IX—ନିର୍ବିଳାଶ-ଜ୍ଞାନିଶ୍ଚରି, (ପାଠ୍ୟମନି).—ପ. ପାଠ୍ୟ	52
X—ଅନ୍ଧରୀମି, ପାଦ୍ମି—ଜ୍ଞାନ. ମିରିଦାନାଶ୍ଵରିଲୀଲା	59
XI—ପାରିଦେଖିଲି: ରାତ୍ରିମ ଏହି ପିଲାତ ରାତ୍ରିଲିଲ ଦୁଇକଥିଲୀଲା ବିଗିତ, ଶାରାଦା, ଦା ର୍କ୍ଷଣୀଲୀଲା	61



ნატაზები.

¶ ისტოს გაღმოიქმნა კლდიდან
მთის ნაევდუღა ან კარა,—
ბარს ჩიუგორდა კალთაში
და გაზიფხული ახარა.

ଗା ଦୁଇକ୍ଷାପର୍ବତ ଲୋକଙ୍କିମନ୍ଦିର,
ତରତମ୍ଯକାଳ ମହାକାଳ ଶ୍ଵର୍ଣ୍ଣରେ ।
ଦା ଶାରିଦ୍ରମନ୍ଦିର ଶାରିଦ୍ରମନ୍ଦିର
ମହାକାଳ ମହାକାଳ ଶ୍ଵର୍ଣ୍ଣରେ ।

ბუჩქეში შესძინა ტოროლას:
— გეცუაფა, კმარა ძილიო, —
გალობრით შექვედი განთიაღს,
ჰანგი იმდერე ტყბილიო.



შენც, მოწყვენილო მიღამოვ,
აჭყვავდი, გაიხარეო,—
გულში ჩაიკარ მზის სხივი,
ნარნარიად მოელფარეო.

ბაღნარო, შენი სიაშე
სხვაგანაც დამაბარეო,—
რომ შვების ხშებით დავატებო
ტურფა სამშობლო მხარეო...

ასე გაისმის მთა-ბარად
სიმლერა ნაკადულისა;
და კვავილთ გულშიც ილვიძებს
იმედი გაზაფხულისა!..

ს. ფაშალიშვილი.



ჩვენი ვარდი.



ომილოცნია გაზაფხული, მომილოცნია სი-
თბო და სიხარული! — მიესალამა მზის სხი-
ვი ვარდს და მოეხვია მის ყლორტებს სი-
ყვარულით.

— გმაღლობთ, გმაღლობთ, ჩემო საყვარე-
ლო სხივებო, გმაღლობთ, რომ არ დამი-
ვიწყეთ ომქ, დიდხანს-კი მომინდა თქვენი ლოდინი! რომ
იკოდეთ, როგორ მკოდა, როგორ ვიყავ მოშეუნილი და
დანალელებული თქვენ მოლოდინში! — მიუვი ვარდმა და სია-
მოვნების ნიშნად ათროთოლი თავისი ყლორტები, რომლებ-
საც მზის სხივები დაპქათქათებდნენ.

— ფიქრი ნუ გაქვს, ისე მალე მტერი და დუშმანი მო-
გიკედეს, როგორც მილე შენ შეიმოსო და გალამაზდე! — უპა-
სუხეს სხივებმა.

— დრო არ არის თუ, გენაცვათ! მოელი ზამთარი ში-
შეელი ვიყავ, ძარღვები მომიღუნდა, ყინვამ ლამის თან გადა-
მიტანა; გამთოშა, მეკონა: გაზაფხულს ველარც-კი დავესწრე-
ბოდი!

— რას იზამ, გენაცვა, უველის თავისი დრო აქვს. სამა-
გიეროდ დისკენე და ახლა ახალი ძალ-ლონით გადიფურჩქ-
ნები, შეიმოსბი, გალამაზდები!



— შერტ... — დაიშრიალა ნივება, შეატოვა ვარსკერი უზრუნველყოფა
ები და მიყუჩდა, თითქოს მის ძირში მიიმიღება.

— წრიპ! წრიპ! წრიპ! — დაიწრიპინა ბელურამ და კოხტად შემოჯდა მის კენწეროზე. საიდანღაც, შორს, შორს, ცის კი- დურიდან ტორთოლას ხვა მოისმა; სახლის კერიდან შეტუბალი ჰიყვიკეცებდა.

კანკალებდნენ მზის სხივები ვარდის ყლორტებზე; ვარდი
კი ათრითოლდა, გაიზმორა უკანასკნელად, რომ ზამთრის ძი-
ლი გადაეცერჩქან, და მეტის-მეტი სიამოენებისგან აცრემლდა.

სტიროდა ჩვენი ვარდა და იმავე დროს იყონოდა კი-
დეც. მისი ცრემლები სიხარულის ცრემლები იყო, მისი ლიმი-
ლი-კი ძაღლობა გაზაფხულისადმი.

მზის სხივები გარშემო ეხვეოდნენ, ბელურა-კი ხან ერთს შტოს მიაშტერდებოდა, ხან მეორეზე გადაფრინდებოდა. ის ეძებდა პატარა კიიბს, ეშინოდა არ ეწყენინებინათ ვარდისა-თვის, არ შეეწუხებინათ მისი ყლორტები; და ვაი იმ ჭიას, რომელსაც-კი მოჰკრავდა ხოლმე ის თვალს.

— გმადლობ, გმადლობ შენც, ჩემი ბელურავ, სძაგლები ქლიან ჩემს ფოთლებს, რომ კბილით დაწვლიტონ და გამწარონ! — ემადლიერებოდა მზრუნველ ბელურას ვარდი.

— მე ვიცი ამათი! ერთი რა არის, ერთსაც-კი არ გვა-
ქანანებ შენს ყლორტებზე. შეჩე ახლა, რომ იციდე როგორ
მომშევდება ხოლმე ფუსფუსში; ბევრი სამუშაო მაქა; სად
ბუმბული უნდა ვიშოვო, სად ჩაღა და სხვა-და-სხვა სარბი-
ლობელი. ბუდეს ვიკეთებ, ვარდოვან, ბუდეს! მიუვი ბეღუ-
რამ და ბუდის ხსენებაზე სიამოვნებით დაიბარტუვნა ფრთხი-
გვერდებზე.

— ლმერომი შევიღობაში მოგახმიროს და შეგასწროს შეიღების ნახვის, — დალოცუა ვარდმაც თავის მხრივ.

書　　本

მხე თან-და-თან დასავლეთისაკენ იხრებოდა და ნელ-ნელა სწორიავთა თავის სხივებს. ბაღს, რომელშიაც ჩვენი ვარდი

იღგა, ნელ-ნელა ჩრდილი მოეფინა. ფრინველების გაღრობაზე უკავშირდებოდა.

— მშეიდობით, გენაცა, მშეიდობით დილამდე, დილაზე კი ისევ ადრიანად გეწვევი. საღამო ხანია, დროა ახლა ჩემმა დამ გამოისეირნოს ცის ლავვარდზე! — გამოესალმა მზე ჩვენს ვარდეს, მოელი დღის მჯრაიფის შეძლევ, გადაჭყოცნა უკანასკნელად მისი ყლორტები და მიკურითა სხივები დასავლეთი-საკენ.

— მშეიდობით, მშეიდობით, ჩემო სიცოცხლე! — გააყოლა მშეიდობა ჩვენშა ვარდმა, შეიშმუშნა საღამოს გრილ ნიავზე და, თითქოს მოიღალა, ოდნავ დახარა თავი.

შესწუდა ფრინველთა გალობა.

მიყუჩდა არე-მარე. ცოტახანს ბინდმა წაგრავნა დედამიწა, მაგრამ ის მაღვე გაფანტა ციდამ გაღმოფენილმა ოქროს შუქმა. ეს მზის დიას შუქი იყო. მობრძანდებოდა მთვარე, მოსურავდა ცის ლავვარდზე; ლამაზი, ოქროს სახიანი, ოქროს სხივებიანი, მორთული ლავვარდი ცის კაბით რომელიც მოკიმუმე ვარსკვლავებით დაეწინშეკლა. მას თან მოპქონდა მშვენიერი სიზმრები. ის ამ სიზმრებს სხივებთან ერთად ჰგავა ვნიდა ძირს დედამიწისაკენ, ყვავილებთან, ამწვანებულ მდელოსთან... და რასავეირვერია, არც ჩვენი ვარდი დაივიწყა.

მართლაც, ჩვენს ვარდზედაც დაეშვა ერთი სხივი, გადაუარ-გაღმოუარა მის ყლორტებს და ოქროს თმასავით გადაეშალა ზედ. შეეხვია ჩვენი ვარდი საამურს სიზმრებში, შეეხვია ოქროს თმაში და ოულილინდა გული:

დიდით გერცხდით კაშისკება,
საღამოთა ღერის ფერად,
ღმერთთ, ღმერთთ, როგორ შინდა
კადაგიჭე მთვად სიძლერად.

ავეთვრდება, გადგაშლება,
შეიღლოცავ ზამბახს, იას,
ბულტელიც ხის მოფრანდება
და დამხახებს ტია ტიას!





სად გინდათ, რომ არ წავიდე,
გინ გინდათ, რომ არა გახსო,
გაზაფხული, გაზაფხული!
უკედას მინდა, შევასხო!

სახდი შევად—შექა შემაქვს,
გუღზედაც ვარ შეკანილი,
შიუგარს შზე და შიუგარს მოგარე,
შიუგარს წეაროს შოძახილი.

უგავილო შეიქეს შემახან,
უგედა მაქებს და შნატრუდობს,
განც მომწევეტავს, მასი გულიც
გაზაფხულებრ თაიცულობს!

ლილინებდა ჩვენი ვარდი, ლილინებდა სიზმარში და თან-
ილიმებოდა. მის მომწევანო ყლორტებს ყოველ გალიმებაზე
ამოუფეთქდებოდა ხოლმე პატარ-პატარა მომწევანო კვირტები,
ჰედავდა მის ვარდი, ეალერსებოდა კვირტებს და წახალისე-
ბული უფრო და უფრო უმატებდა სიმღერას:

{ ვიმოსები შწვანე ქაბით,
თავს დაფირო წითელ დალალი,
ვენაცვალე გაზაფხულსა,
ვენაცვალე იშის ძალას!

ვიდრე მთვარე საშხრეოისაკენ გადაიბრებოდა და მიმა-
ლებოდა, ასეთ ტკბილ სიზმრებში და სიმღერაში იყო ჩვენი
ვარდი.

* * *

შრრ... შრრ... — დიმშრიალი განთიადის ნიავმა და შეა-
რხია ვარდის ყლორტები: ვარდს გამოელვიძა, შეიშტუშნა,



მიათვალ-მოათვალიერა თვისი შტოები და დაინახა, რომ მწვევები
ნედ ამოფეოქებულ მის კვირტებს მარგალიტის ცრემლები
მისმოდა—ეს დილის ნამი იყო, სიხარულის ცრემლები, სი-
ზმრის ლიმილი...

— ჩეკენ მობრუნდი, ჩემო კარგო, ჩემკენ! აბა შემომხე-
დე შენ საყვარელი!

ჩამოეხმაურა ამ დროს მალლიდან მზის სხივი და გაღაპე-
ცნა ვარდის ათრთოლებული ყლორტები.

— დილა შშეიდობისა, ჩემო ათრთოლებულო ვარდო,
დილა შშეიდობისა!

— რომ იცოდე რა კარგი სიზმრები მიჩენა შენშა დაია-
მთვარემ, რა გულ-კეთილი ყოფილა, რა ლამაზი!

მიუვება თვის მხრივ ვარდიც ქათქათა მზეს და სიამოვ-
ნებით მიგრიხა თვისი შტოები სხივებისაკენ.

სხივებმა სიყვარულით მიუალერსეს ახლად ამოსულ მწვა-
ნე კვირტებს, ჩამშექეს მათ ჰატარა გულში, დააღნეს ზედ
დილის ნამი და ნელ-ნელა, ნაზად და ფრთხილად გადაუშა-
ლეს მწვანე ტუჩები.

ოჳ, რა ალტაცებაში იყო ამ დროს ჩეკი ვარდი, როგორ
ეკუროდა მზის თბილ სხივებს, როგორ აწვდიდა მათ ერთი
მეორებები თვის ჰატარა შტოებს! კვირტები-კი იშლებოდნენ,
თითქოს ერთი მეორეს ეჯიბრებათ და უკარგავდნენ მწვანე
კაბას ჩეკი ვარდს.

მთვარის სიზმარს შზე მისრულებს,
ტქბილდა სიზმარი ცხადია,
მთვარეა დამის, დღე-კა შზის,
ჩემი გამზდედა, გადია!

შლერიდა ვარდი ალტაცებული. მას ეხმაურებოდა ბუჩქე-
ბიდან შაშეი. ცის ტატნობიდან ქოჩორა ტოროლა და მიხდ-
ვრებიდან ოფოფი...



ასე გაატარა ვარდმა მოელი აპრილი: ღამე კარის მარწინი ა
რის ლამაზ სიზმებში იძინებდა, დღისით კი შეის ცეკვების
სხივებთან ლალობდა, მხიარულობდა. ღამის სიზმარი დღისით
უცხადდებოდა ხოლმე, და არ გასულა დიღი ხანი, რომ ის
უკვე შევანე ფოთლებმა დაჰუარეს. მალე კოკრებმაც ამოჰყეს
თავი და დაიწყეს ლიმილი წითელი ტუჩებით.

* * *

ტავ, ტავ, ტავ, ტავ!
ბუდებედი ვარ სამასო,
ტურია ვარდის შეგთანარი,
გაზაფხულის სახადის!

ტავ, ტავ, ტავ, ტავ!
თქნდება და მოდის დიდა,
ვარდს ვარწევ და ვარდზე ვმიღერი,
გაფერწენილა, გადაშედილა!

ტავ, ტავ, ტავ, ტავ!
განთიადი, განთადი,
შეგთანარებო, აბა ბანი...
გადაშედილა წევნი ვარდი!

ეს ბულბულის სიმღერა იყო. ლალის ფრად გადაფურჩქ-
ნილ ვარდის შტოტან მიწურიალებდა მისი ხმა შორით-შორს
და ატყობინებდა მთა-მინდორ-ცელს, რომ მაისის ტურფა დი-
ლამ უკვე გადაშელა ჩევნი ვარდი, რომ ამ დილით ის პირვე-
ლად დღესასწაულობდა თვის აყვავების, თვის გადაფურჩქნის
და სანატრელ წუთს

თუთუ—თუთუ— ბშბა· ბშბა!
ბაშ-ბაშ! ასტედა ტექში,
ადღინძა ფრთა გაშაღა,
შაშვიც უმტკნის ხშარ ბუჩქებში!

ბ' ბ' ბ' ბ'— ბ' ბ' ბ'! — წა-წა!
აქ კტებული— აქ ბეღურა,
ბიჭი გოგი! ბიჭი გოგი!
მოდაღურიშაც შაშვირა!

ღუღუ-ღუღუ-ღუღუ-ღუღუ!
უხმატებიდებთ ამათ ტრედი,
ამღერდა და ახმაურდა:
ჭაღა, ჭეღა, ჭორდა, ჭედა!

დიალ, ეწია ვარდი თვის სანატრელ გულის წადილს, აუ-
სრულდა თვისი სიხშრები, თვისი ნატერა. ის უკვე მწვანე კა-
ბით შიმოსილი, წითლად გამოიყურება ბალიდან. მაისის დი-
ლის ცვარს მზე მარგალიტიერ აბქუკრიალებდა მის შტოებზე
და ამ დილით პირველად მიაწოდა მან თვისი თაიგული გა-
ზაფხულს.

„იმღერე, იმღერე, ჩემო ბულბულო!“ ექურნულებოდა
ის ნაცრისფერ პატარა ჩიტუნიას თვის შტოებზე და მის ხშას
ატანდა თან თვის სიხარულსაც. რომ ნიავს მოეფინა იგი გა-
ზაფხულის გულზე.

* ტავ, ტავ, ტავ, ტავ!
დაღა, დაღა, დაღა, დაღა!
ადგერ და იჩახულეთ:
ჩეენი ვარდი გაფურჩქინდა!




„ჩვენი ვარდი! ჩვენი ვარდი!“ ბანს ძლევდნენ ბულბულის წყრიალა ხშის ყოველი კუთხიდან: ჭალა, მთა, ტყე, მინდორი და მთელი ძლევრებული გაზიაფული!

၁၆၂



ო გ ლ ე ბ ი.

I.



პრილის დილა იყო. მზე ჯერ არ
ამოსულიყო, ხოლო მის მომლოდი-
ნე ლაქვარდოვან ცის კამარის აღ-
მოსავლეთისკენ ლიმილი მოსვლოდა
და სახე-აწითლებული, ახლად ახა-
ვერდებული, ნაშის წვეთებს ხარბად
სრუბავდა. ვაკე ადგილებს აქა-იქ ჩისლი ადგათ; მთებსაც
ნაცრის ფერის ყაბალით წაეკრათ თავი... ჯერ არც ერთ
ხეს არ გაეშალა სრულიდ ფოთლები; ისე კი ძალიან ჩქა-
რობდნენ მწვანედ მოკაზმებს. სოფელი ჯერ კიდევ კარ-
გად ვერ შეცურებულა მწვანედ მობიბინე ხეების ფოთლებ-
ში. ამისათვის იყო, რომ ეზოებში, საითაც უნდა გაგეხედათ,
ჰველვან მიაწვდენდით თვალს. ირინემაც პირველ გახდედისათა-
ნავე თვალი მოჰქირი კარგი შორს მობინადრე შეზობლის კოლს
დონიკას და მაშინევ გულში ეკალი მოხედა.

— დასწეულოს ღმერთმა მაგისი ადამიანობა: არ შეი-
ძლება, რომ ჩემი მუშის სახლიდან გასვლა გამოეპაროს... —
ჩიილაპარაკა თავისთვის და ბოსელში შევიდა ხარების გამოსა-
უვანად. იქ დილხანს არ დაპვიანებია. გამოსვლისას, რაյი
დაინახა, რომ სანდრო ჯერ არ გამოსულიყო, მოფერებით
დაუძიხა:



— შვილო, სანდრო, გამოდი, გენაცვალოს დრეზენის
ნუ იგეიანებ...

— მე კი გამოვალ, მაგრამ ეს ბიჭი რომ ვერ ავაყენე,—
მოისმა სახლიდან სანდროს ხმა.

— არ გაუწყრე, შვილო, არ ატირო, თვარია სულ არ წა-
მოგვება ეგ შერტვენილი ეგა,—ისევ დაუძიხა ირინემ და
ხარების ხეზე მიბმის შემდეგ თვითონ შევიდა სახლში ნიკას
გასალეიძებლად. კარგა ხნის ხვეწის შემდეგ ნიკამაც იკალრი
ლოგინიდან აბრძანება და, რაჯი დარწმუნდა, რომ დედაცა და
ძმაც ერთობ ტკბილად ეპყრობოდნენ, თვითონაც შერტვა.
პუშური დაიწყო და მხოლოდ უსიამოვნოდ იყოთხა:

— რომელ ყანაში უნდა წავიდეთ დღეს?

— აი იქა, შვილო, გუშინ რომ იყავით; აკი ჯერ არ ვა-
გითავებით ხენა. ქვიანი ადგილია და თუ დროუე არ დავხა-
ნით, მერე გაგვალავს და რა გვეშველება,—ტკბილად ეუბნე-
ბა დედა.

უოტა ხანში სამთავე დედა-შვილი დერეფანში იყვნენ და
დაულლულ ხარებს კავ-ულელს ადგამდნენ.

მზე უკვე ამოვიდა. მოელვარე შეკები დაუბრკოლებლივ
გამოიძერინა ხეებს შუა და აღმოსავლეთის მხრივ უველავერი
მოაგარიყა. სანდრომ, რომელიც სახრეს სინჯავდა, სხივთა
კონას თვალი გააყოლა და ბრწყინვალე მზეს მიაცემდა, მა-
გრამ თვალი ვერ გაუსწორა. ქუთუთოები აუთართოლდნენ,
თვალების გუგები იუწყალდნენ. ნიკა ხარებს უდგა წინ და
ხან ერთს მოუფუნიდა ყურის ძირებს და შუბლს და ხან მე-
ორეს. დედა კი საუზმეს უმზადებდა შვილებს და თან ფიქრო-
ბდა: „ღმერთო, გმადლობ, რომ ერთ უბედურებაზე მეორე არ
დამიმატე და საწყალ ობლებს ასეთი კეთილი გონება ჩაუნერ-
გე... როგორ ვიფიქრებდი, თუ ასეთი დამჯერენი და გამგო-
ნენი იქნებოდნენ... ვმადლობ შენ ძლიერებას, რომ სულ არ
მოიძულე ჩემი ოჯახი.“

ირინეს ქმარი ამ ზამთარში მიიცვალა და ოჯახი უმიშავა-

ცოდ დარჩა; თოთხმეტ-ხუთმეტის წლის სანდრო თუ ქართველები ბოდა პატრიონად. სანდროც ჯერ-ჯერობით მაინც ერთგული იყო, და სწორედ ამისათვის იყო, რომ ირინე ყოველთვის ღმერთს მაღლობის უძღვნიდა.

— გამარჯობა თქვენი,— მოესმა დერეფნიდან ქალის ხმა. ირინე მაშინვე მიხედა, თუ ვინ იყო, და სიბრაზემ აიტანა. „ვინ ეხვეწებოდა ამ კუდიანს, რომ გაუთენებლივ კარს მომადგაო,“ გაიფიქრა.

პატარა ნიკა ასე ეცონა, რომ მოსალმება მას არ შეეხე-ბოდა და „გაგიშერჯოსო“ თვითონ კი არ უთხრა, — სანდროს დაუძახა:

— ბიჭო, დონიკამ გამარჯობაო, და უთხარი რამე.

ამასობაში ირინე გამოვიდა კარში და ნიკა ამგვარში სიტყვებმა ჟეველანი გააცინა. სალამის შემდეგ დონიკა დერეფნიში დაჯდა. მაღალ-მაღალი იყო, გამხდარი, ნაცრის ფერი კაბა ეცვა. ჩამოგრძელებული, თითქოს გვერდზე მოქცეული ნიკაპი და ყურები თავსათრით იებვია; ფეხებზე დაფხრეწილი წელები ეცვა; ხელები გულზე დაკრეფილი, აქეთ-იქით იღლიებში ამოედო — სიცივეს არიდებდა. დონიკა, როცა გაიგო, თუ რომელ ყანაში მიდიოდნენ ირინეს შეილები სახნავად, ჩაიღავარავა:

— ხელი მოგიმართოს, შეილო, ღმერთშა. — ივარგეთ, მტერი არ გაახაროთ...

— იქნება, ირინე, ერთი ორი ლერი წუმწუმა მასესხო: შემომელია და არ მიყიდნია, — სთქვა დონიკამ. მაგრამ ირინემ ყურიც არ ათხოვა — ვითომ არც კი გაუგონია, და თავისი საქმე განაგრძო.

სანდრო და ნიკა თითქმის მზად არიან, კიდევ ცოტა ხანი და კიდევ წავიდნენ. დონიკა გრძნობს, რომ არავინ აქცივს ყურადღებას, მაგრამ მაინც ლაპარაკობს:

— სწორედ კაი ქენი, ჩემო ირინე, რომ სანდროს სკოლაში სიარული მიატოვებინე...



— როს კი, ქალო; მაგი ჩემმა მტერმა გაიგონოდა ან გადაწყვრომოდა, სკოლიდან როგორ გამოვიყვანდი.

— ერთი შენც ამბობ რალა... შენა გვინია, რომ რამე სასარგებლოს ასწივლიან მაგ კლასებში? მეტი არაა ჩემი მტერი!.. აი გუშინ უთქვიმს მასწივლებლის ბავშვებისათვის — ხვალაო, დღეისათვის, კალებში სასეირნოდ უნდა წიგიუვანოთო... იქან = ყველიერს ნახავთო, პეპელებს დაიკერთო... და კიდევ რაღაც ასეთი სისულელეები... ჰო და ესაა რაიმე სასარგებლო მინდორში სირბილს თუ მასწივლებელი უნდოდა, ესეც არ მეგონა. მაგისათვის უნდა ვაძლიო მასწივლებელს ფული? დასწუკვლოს ლმერთმა. ყველაფერი ფულის მახეა ჩვენს დროში.

ამ ამბის გაგონებაზე სანდრომ რაღაც უსიამოვნება იგრძნო, სახე შექმუხვნა და წყენით ჰქითხა დონიკას:

— ჩვენ ქალაში მოპყავს ბავშვები?

— ჰო, შვილო, აგრე მითხრა კანომ ჩემმა, თვარა მე რა ვიცი.

სანდროს ახლი უფრო ეწყინა და წარმები დახარია. სახრე მიწაზე დააბჯინა და გაჩერდა.

— ჰე, შვილო, რას უყურებ; მზადა ხართ: წალით, — უთხრა დედომ.

— ირა, მე ვერ წიგალ, — ჩაილაპარაკა სანდრომ.

— რადა, შვილო, რა იყო?

— იქა... მასწივლებელი მნახავს, და არ მინდა.

— რადა, შვილო, რისთვის? აქამდე ძალიან გიყვარდა!..

— ახლაც არ მძულს, მაგრამ... მრაქვენია მისი ნახვა...

— როგორ თუ გრუქვენია: ბავშვი ხომ არა ხარ?

— დამიწუებს კითხვას, რად მიანებე სასწივლებელს თავით... და მე შემრტვება. ვერ შევხდები... ვერ წავილ იმ ყანაში...

— ლმერთო მომკიდ ახლავე, — იტკიცა ლოყაში ხელი

ირინემ,— შენ ხელა ვაცი და ასეთი სირცხვილი ვის შეასწორეუადი ბია!... გუშინწინ რომ ქენი კიდევ— მასწავლებელი დაინიშნე-შედიანაა რიცან მომავალი და, რომ პირდაპირ არ შეგხვედროდა, ცხრა მთა მოირბინე... ვის გაუგონია ახე!...

თან გულზე სყდება ირინე და ფიქრობს: „ვინ ეცემებოდა ამ ფეხებ-გასახმობ კულიანს, რომ ამ დილაზე მოწანეაღლდა და ეს ახალი ამბავი მომიტანა? გამოწყობილი ბავშვები სამუშაოზე მომიტდინა”...

დიდი ხევწისა და მუდარის შემდეგ სანდრო დათანხმდა ყანაში წასვლაზე, მაგრამ იქ კი არა, სადაც გუშინ იყო... სულ სხვაგან წაეიდა, ისეთ ადგილს, სადაც დარწმუნებული იყო, რომ მოსეირნე მასწავლებელ-შეგირდები ვერ შეეყრებოდნენ.

რა იყო, შე კურთხეულის შეილო, არ გეთქვა ეგ ამბავი, არ იქნებოდა?! უსაყვედურა ბასვშეების გასტუმრების შემდეგ ირინემ დონიკას.

— რას ვიტოქრებდი მე ენა-გასახმობი, თუ ასე იქნებოდა, თვარა როგორ გამიწყრებოდა ლერტი!.. უპასუხა ცოტა არ იყოს შერცხვენილმა დონიკამ და დაუმატა: მაგრამ ის გასახარებელი ნამეტანი მორცხვი კი გყავს...

„შენ მუდამ შხამიანი ენა გქონდა და შენი კარგიც მუდამ ავიაო.“ უნდოდა ეთქვა ირინეს, მაგრამ თავი შეიმაგრა.

II.

ის ადგილი, სადაც დღეს სახნავად სანდრო წავიდა, მდებარეობდა მდინარის პირას. ამ ადგილს ერთის მხრივ საჩეჩელივით აყრილი ტყე საზღვრავდა. ეს ტყე მშვენიერი საფარი იყო და სანდრომაც იშისთვის მიაშერა. შეორე მხრიდან მოელი ჭალა სჩანდა და მოსეირნე მასწავლებელ-შეგირდებს ადვილად შეამჩნევდა და, თუ მისკენ წამოვიდოდნენ, თავის დროზე კიდეც დაიმალებოდა ამ ტყეში.



კარგად მოშევებული იყო. ზამთარში დასუსტებული ჩანა
ქონელი უკეთ გამოფენილიყო და ზურგის თბობასთან ერთად
ამწვანებულ ბალონსა სძოვდა. თავსნაირი ჭია-ლუა მზის სხივებს
არ დაეცემოდა თავიანთ სორიებში და კარში გამოსული
აქეთ-იქით დაღოლავდნენ... პეპელები განუწყვეტლივ ფარფა-
ტებდნენ; ფუტკერებიც არხეინად დალულუნებდნენ და ახლად
გაშლილ ყვავილებს გულის სილრმიდან სიტკებოებას სწუწნი-
დნენ... ჩიტების ერიამული განუწყვეტლი იყო; მერცხლები
წამ-და-უწუმ დასრიალებდნენ, ხან მიწას დასჭიკუკებდნენ და
ხან ზეცას, — ხან მინდოორ-ელს ეკვროდნენ და ხან მდინარის
ტალღებს ფრთხებს უტლაშუნებდნენ... გაზაუბულის შეკირცხლ
სხვებს უკეთა და უკელაფერი გაეთბო და გაეცოცხლებინა.
სანდრო და ნიკა სიერთო მხიარულებაში იყვნენ და სიამოვ-
ნებით განაგრძობდნენ მუშაობას. სანდრო კიდეს ეყიდა; ნიკა
კი ხარებს უძლევებოდა წინ და თან ისე არხეინად მილილინე-
ბდა, რომ ცა ქედაც არ მიაჩნდა და დედამიწა კალამნაც.

ორთავე ძმებს მაშის სიკედილი და აშის გამო გამოწვეული შწუხარება გულზე ლოდად იწვაო და მუდამ სიხარულს უწამლავდა, მაგრამ დღეს კი იმ თბილობა და შშვენიერება დღემ თითქოს დაავიწყა ორივეს შწუხარება. ნორჩი, გაუფურჩქვნელი ძალ-ღონე და სიცოცხლე მძლავრად სცემდა მათ არსებაში და გამოსავალს ეძებდა. თევიანთ თავისთვის შეუმნევლად ღილინებენ... მართალია, მტრედებიცით მოღულუნეთ ხშირად აგონიდებოდათ განვლილი უბედურება და მყისე ხმას გაიკმნდნენ, მაგრამ ეს დროებითი იყო, და ისევ მალე ივიწყებდნენ... სულითა და გულით ეძლეოდნენ ირგვლივ განგულ სიხარულსა და სიცოცხლის ნაკადულის ჩქეფებს.

იმ არე-მარებელ მარტო ისინი არ ხნიედნენ, — სხვა გლე-
ხებიც აშევებდნენ ყამირსა და სახრეს ტლაშა-ტლუში გაჭქონ-
და ხარების ზურგზე.

— გასწი, შენი ლმერთისა, გასწი, — გასძხოდა ხარებს
სანდრო და, სიხრის მსუბუქად და მოხდენილად გატლაშუნე-

ბის შემდეგ, კავს დაცურდნობოდა, და როცა იგრძელდებოდა — სიამოვნებას გრძნობდა.

— სანდრო, მოღი კიდევ მოვეკიდები კავს და მოვახვნევინები, — წამ-და-უწეუმ ეხვეწებოდა ნიკა ძმის.

— ვერ დაუმაგრდები, ბიჭი: წელანდელივით წაგაშეცვს და რამეს იტკენ...

ნიკას საშინლად უნდოდა თვითონ მოკიდებოდა კავს, რამდენჯერმე კიდეც სცადა, ზაგრამ ვერასოდეს ვერ ვაიმარავა, სულ ყოველთვის ყირამალა გადაიყვანა კავშა. ერთობ ჯავრობდა, რომ მეტი ღონე არა ჰქონდა, მაგრამ თავს აიმედებდა, რომ მაღვე მოლონიერდებოდა.

— გამარჯობა, ბიჭებო, თქვენი, — მიესალმა ძმებს გლუხი, რომელიც ტყეში მიმავალ ბილიკით გამოვიდა.

— ღმერთმა გავიმარჯოს, — უპასუხა მორცხვად სანდრომ.

— ივარგეთ, ბიძიი, ივარგეთ: ნუ დაიცეცი მამითქვენის ოჯახს... გვარიინ ხელ-მომზარად დაგროვათ იმ ცხონებულმა და არაფერი დაბნიოთ; კეული იყავით, — ეუბნებოდა პატარებს ღიმილით გლეხი და თან სიამოვნებით უცქეროდა მათ მუშაობას. ზურგზე წამოკიდებულ ორ-ერთი ჩალას მარცხნა ხელით ავავებდა, მარჯვენაში კი დოჭი ეჭირა; ფეხებზე ქალამნები ეცვა, ახალობის კალთები ექეთ-იქით შემოეკეცა, თავზე ნაბდის ჭუდი ეხურა.

სანდრო და ნიკა გლეხის ასეთმა ქცევამ რაღაც სირცხველში და თან სიამოვნებაში ჩაიგდო, ორთავემ იგრძნეს, რომ საჭირო იყო განერება და გლეხის მოსმენა, და ასეც მოიქცენ.

— ეჲე, ერთი შეხედე შეტივეს! წამოიძახა ნიკამ, რომელსაც ხშირდდ ეჭირა თვალი მდინარისაკენ. საშივემ იქით გაიხედა. მდინარე მედიდურად მოიზლაზნებოდა, ამღვრეულ ზეირთებს ხან დაბლა დაუშვებდა; ხან კი, თოთქოს გაიბრაო, მაღლა ასწევდა. თან ისენაირად მოდუდუნებდა და გულზეიად გამოიყურებოდა, რომ გეგონებოდათ ვიღაცაზე გულ-



მოსულია. მეტივენი კი სრულიად არ ეპუებოდნენ რა თბება
ან ტივის უშიშრად მიაცურებდნენ. ორნი იყვნენ. კონტად
დამკლავებულთ ტივის შეუადგილის ბარვი-ბარხანა დაელავე-
ბინათ და თვითონ კი ტივის აქეთ-იქით თავებში დამდგარი-
ყვნენ. თან ისე გაბედულად და ლამაზად უტლაშუნებდნენ
მდინარის ზურგს ორთავეირებს, რომ სწორედ შეგშურდებო-
დათ. დრო-გამოშეებით მათ სიმღერასაც გაიგონებდით.

— რა ყოჩალად მოდის, — სთვეა ლიმილით გლეხშია.

— მეტივეჯან... მეტივეჯან... გასძახოდა ნიკა და მდი-
ნარისაცნ მირბოდა. მაგრამ ჩქარმა ტალლებმა მალე გააშო-
რეს იქაურობას მეტივენი თავიანთი ვებერთელა ტივით.

გლეხშია ბოლოს სანდროს დარიგება მისკა, რომ ნიკა
მოერიდებინა მდინარისათვის და თავისთვის წავიდა.

პატარებში მუშაობა განაგრძეს. რაღვან ხარებს სულ არ
სჭირდებოდა წინ გაძლოლა და კვალში ჩაყენება, ნიკაც მალე
განთავისუფლდა და პეპელებს აედევნა. თუმც ფეხშიშეელი
იყო, მაგრამ მას რას დაგიდევდათ: კალისავით დაზტოდა
ჩირგვებში.

შუადლისას დედამ სადილიც მოუტანათ. აუწერელი იყო
დედის სიხარული, როცა ნახა, რომ სანდროსა და ნიკას მუ-
ჟაიოთად ემუშავნათ და კიდევ საშრომლად დიდი სურვილი
ჰქონდათ.

III.

შე კარგად გადიწია. სანდრო გულ-დამშვიდებულია.
აქამდის ფიქრობდა, რომ მასწავლებელი და ცველა ამხანა-
გები შესაძლებელია კალიდგან მომაღვნენო; ეს ერთობ აეპევ-
ბდა და მხადაც ჰქონდა ამ შემთხვევისათვის თავ-შესაფარი.
ახლა სრულიად დაწყნარებულია. „ახლა უკვე მოსრულებული
ექნებათ სეირნობაო,“ ფიქრობს და გულ-დამშვიდებული გა-
ნაგრძობს მუშაობას...

ცოტა არ იყოს კიდეც აგრილდა. მდინარემ ცივაჭურის მიმართ მომდევნობა ისუნთქმა და ეს ამონასუნთქმი ცივ ბორიოდ მოედო ნიშირებს. ჭია-ლუამ თუ ბუზ-ცეპლებმა თბილ ბინაზე იწყეს ფიქრი; სა-ქონელიც მყუდრო ადგილებისაკენ მიიწევს. ვერც ჩეენი მუ-შები არიან მაინც-და-მაინც კარგ გუნებაზე: სიგრილე არ ეა-მათ, მაგრამ მუშაობას კი განაგრძობენ.

— ბიჭო, სანდრო, ე რაღაც ბავშვების ხმა მოშესმის ტყიდან, — სთქვა ნიკამ და ყურები სკევიტა.

— ალბად ფხალის საკრებად წამოსული გოგოები იქნებიან... სეინტრი, ჭინჭარი, ქათმისქონა — მეტი რაა ახლა ტყე-ში... ეკალაც ბლომადაა, — უთხრა ძმას მშეიდად სანდრომ და ის იყო მუშაობა უნდა განეგრძო, რომ ამ დროს რაღაც ეჭვ-მა გაურბინა — მასწავლებელი არ იყოსო. ხარები შეაჩერა და კარგა ხანს ტყისკენ იკვირა, მაგრამ იქ არავინ სხანდა; ხები კი თანდათან ხშირად მოისმოდა. ბოლოს რამოდენიმე ბავშვიც გამოხტა ტყიდან. სანდრომ მაშინვე იცნო ისინი და მთელი არსები მოეწამლა: დააბნა, შერტვა და თავი ჩალუნა. „მუ-შაობას განვაგრძობ და ყურადღებას არ მომავცევენონ“, გი-ფიქრი და ხარებს გაუტლაშუნა, მაგრამ გული კი უსქლება და სულ ტყისაკენ იხედება, თან თავის თავზე გაბრაზებული ფი-ქრობს: „მე სულელმა რაზე ვერ მიიხედი, რომ მასწავლებე-ლი ტიტველ ქალებში არ წაიჟუანდა მოსწავლეებს“... შეგა-რდების რიცხვი კი თანდათან შრავლდება. ხტიან, იცინიან: ზოგს შოლტი უჭირავს ხელში, ზოგს ცვავილები, ზოგი წა-მოწვა და ისევნებს, ზოგი კიდევ დარბის და სხვა. ბოლოს მასწავლებელიც გამოვიდა; უბრალო ბლუზა ეცვა, თავს ფა-ფანაკი ეხურა, ხელში ჯოხი ეჭირა. გარს მოსწავლეების გრო-ვა ახვევია, რაღაცებს უსნის, ემუსაიფება.

სანდრო სულ დაიბნია, სირცევილით იწვის, როგორ მოიქცეს არ იცის; დამალუა შეუძლებელია, უფრო შეამჩნე-ვენ: გვიანიცაა. გაბრაზებულია; რომ შეეძლოს, მასწავლებელს და მის შეკირდებს ამ წუთში გაეცეტს. ნიკას კი თვალები გამტექრებია და ბავშვებს გულ-დაწყვეტილივით უყურებს.

— აქ მოდი, ბიჭა: ნუ იხედები იქით, — უძახის, ჩრდილ
კბილების კრიკუნით სანდრო, მაგრამ ნიკას არ უშმის, კუჭისა
საც არ უვდებს და ეს უფრო ასივებს გულშე სანდროს. ნი-
კამ რამოდენიმე ბავშვი უკვე იცნო და იძახის:

— ემ... ეს კონტაქტი... — ის-კი ლიადო, ის — ჩვენი პეტო.

— ბიქუს, ეს ვინ არის, რომ ხნიეს აქა? ჩეცნი სანდროა? წიმოიყვირა ერთბა მოწიაფეთაგანმა ამხანაგების გასაგონად. იმთაც ყურადღი სცეკვირეს.

— წავიდეთ, ბიქებო, ვნახოთ,— დაიძახა მანეე და უცებ-
კარგა მოზრდილი გუნდი შეგირდებისა სირბილით გამოეშურა
სანდროსაკენ. მათი დანახვა სანდროსათვის თვეზარ-დამცემი-
იყო მაგრამ რა უნდა ექნა, ბედს უნდა შერიგებოდა, მით
უმეტეს, რომ შეგირდების მისვლის არც ისე სკეპტიკოდა.

— გამარჯობა სანდო, გამარჯობა! — სეტყვას აფით დაუშინეს სალაში.

— გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს, — ეუბნება ყველას და თანაც გულში ფიჭრობს — იქნებ ღმერთმა იპრიანოს და მასწავლებელმა აქეთკენ არ ქნას პირით; — და ერთის თვალით რომ ურველ ამხანაგებს უცქერის, შეორეთი მასწავლებელს გაჰყურებს. შეგირდები ზელად შემოეხვივნენ ხარებს და გააჩირეს; სანდროუ ლიმილით დაემორჩილო ამას. ამ დროს დანარჩენის ბავშვებმაც შეიძინის სანდროს გარშემო შეკრებილი ამხანაგები და კადევ შეორე გუნდი გამოეყო მასწავლებელს; მალე მასთან შხოლოდ რამოდენიმე მოსწავლე-ლა დარჩის.

-- რა ამბევერი იქნა? — იკითხა მასწავლებელმა და, როცა
გაიგო რაშიაც იყო საქმე, თვითონაც სიამოვნებით გამოიყენ-
რა სანდორსკენ.

უკვე აშეართ იყო სანდროსათვის, რომ აუკილებლივ მა-
სწავლებელს უნდა შეხვედროდა და კიდევ მოიტობა უკანა-
სკნელი სიცამამე და შის მოსელის ელორდა. სხვასთან ერთად
ის გარემოებაც იგდებდა სირცეზე, რომ ცუდად ეცვა; მა-
ვრომ რა უნდა ექნა... მართალი რომ ესთქვათ, შევიტრებისა-

მოსელის შემდეგ არც ისე სტევნოდა სანდროს. იმათ დარწეული მეტი სითბომე შესძინეს.

— ვამარჯობა სანდროს, — ღიმილით მიესალმა მასწავლებელი და ხელი გაოწოდა ჩამოსართმევად. სანდროც ხელად მოწყდა ადგილიდან და ხელი ჩამოართვა. ყველას ღიმილი მოუფიდა; სანდროსაც ერიმებოდა.

— რას შერები, სანდრო, როგორი ხარი — მოფერებით ჰკითხა მასწავლებელმა.

— გმადლობთ, ბატონო... ვახლავიართ...

— სწავლის დაანებე თავი?

— დიალ, ბატონო... მამა მომიკვდა და ოჯახი უპატრიონიდ დაგვრჩია...

— დედაშენს არ შეეძლო, რომ მუშები დაექირავებინა და დაემუშავებინა ყანები?

— არა, ბატონო: ბევრი დაგვიჯდებოდა და ჩვენ კევაზედიც არვინ დაგვიმუშავებდა...

— ეცადე, ძმავ, ეცადე. — უთხრა სიყვარულით მასწავლებელმა და თავზე ხელი გადაუსვეა; მაგრამ ეს მითხარი — სწავლის არ გწყდება გული?

— მწყდება და მერე როგორ! მაგრამ რა ვწნა? დედამ მითხრა, ქართულ-რუსული წერა-კითხვა და ანგარიში გვარიანად იყო და მით დაქმაყოფილდოთ, — უპასუხა გულ-დაწყვეტით სანდრომ მასწავლებელს.

მასწავლებელი კიდევ კარგა ხანს ემუსილუა სახდროს, ვა-მოპერთხა თჯახის მრდვომარეობა და სხვა. სანდრო სრულიად მოხიბლა ამ ვარემოებამ. ეფონა მასწავლებელი დასკინებდა; ნამდვილად კი აგრე გულ-მტკიცნეულად და ალერსით შეხვდა. სანდროს რომ თავიდანვე ჰერნებოდა, მასწავლებელი იგრე მოექცეოდა, მის შეხვედრას როგორ გვექცეოდა, -- პირ-იქით იმის ცდაში იქნებოდა, რომ შეხვედროდა. სრულობდა და დაუ მდა სანდროს სული და გული: დაწყნარდა; ახლა ისეთ გუნებაზეა, რომ საღამომდისაც არ მოსწყინდება მასთან

ლაპარაკი. თეიოთეულ მის სიტყვებს ხარბად ყლაპავურაზ წახუშეფა; გ მისჩერებოდა, უნდოდა სულას და გულში ჩასძროსმაგრა ჭილავა ლოს მასწავლებელი გამოეშვილობა და მდინარისკენ წავიდა; შეგირდებმაც სიმღერით მიაშურეს ლალად მოდულუნეს; სანდრო და მისი ქმა კი თავიანთ სამუშაოზე დარჩნენ. შეგირდების მდინარისკენ პირის გაბრუნება და სანდროს გულში რაღაც სევდის სიმების აელერება ერთი იყო; მაშინვე იგრძნო მარტოობის დასაწყისი. რამდენადაც ისინი შორდებოდნენ, იმდენად უფრო ღრმად გრძნობდა, რომ მარტოდ რჩებოდა: ახლო მყოფთა თანაგრძნობა და გამხნევება აკლდებოდა. მოავონდა, რომ ერთ თვე-ნახევრის წინ მათთან იყო, სწავლობდა, თამაშობდა და დღეს კი გამოიშველია, მათი ამხანაგი არაა, სკოლა მისთვის არ არსებობს: დღეიდან აქ, ამ მინდონში დიდებივით უნდა იმუშაოს...

უკელა ეს წარმოიდგინა, თვალებზე ცრემლები მოადგა და წაიჩურჩულა: „მე კ იმათში უნდა ვიყო.“ მისდა შეუმნეველად ხელები გულზე დაიკრიფა და თვალებს ვერ აშორებს მიმავალთ. ისინი კი — შეგირდები — იმდერიან, ჭიკჭიკებენ, შეხარიან ცასა და დედამიწას. „ნეტავი თქვენ, ნეტავი თქვენ,“ ფიქრობს სანდრო და თვალები ცრემლებით ევსება: „მე თქვენ-გან გამოთიშული ვარ, გამოთიშული,“ ჩიფჩიფებს სლოვინით. შეგირდების მხიარული სიმღერა გლოვების ზარია მის არსებაში. უზრუნველთა მოკისყისე ჰანგები თავს დასტირიან მის ობლობას. ასე მწვავედ და ასე ღრმად ჯერ არ უგრძენია სანდროს მარტოობა, ობლობა და ამხანაგებში გამოთიშვა. „მამილო, მამილო,“ ამოიხლოუქუნა და უნუგეშად მიაშრერა ცრემლიანი თვალები სიმღერით მიმავალთ.

ნიკაც დიდი ხანია, რაც წმის ამოულებლივ გულ-დათუ+ თქული შეჰყურებს შეგირდებს::.

გ. მალაქიაშვილი.





გერის ჭინააღმდეგ.

(ნ. ფე-მიზნტეფერნატოსი).



ქვენ გიყვირთ, — დაიწყო ჩეენშა მოსაუბრებ, — რომ ოცდა-ათის წლის კაცი მოლად გაქალარავებული ყარ. მოშინმინეთ, რა საშინელებას შევესწიარ.

ამ ორის წლის წინად ჩეენშა მეგობარმა ქორქმა გვთხოვა შე და მიმაჩემს მასთან ერთად ჰაერში საფრენ ბურთით, კსულიყვავით. ქორქი გამოცდილი იყო ამ საქმეში და რაღვან ჩეენ არას დროს არ გამოგვეცალნა ჰაერში ფრენა, გადავწყვიტეთ, ასეთი შემთხვევა ხელიდან არ გაგვეშვა. ჰაერში ასელა დანიშნული იყო თოხშაბათს თუ საათშე, პარიზის მიდამოში. მამაჩემი აღტაცებული ხელებს იუშვნეტდა, მე კი, უნდა გამოვტყდე, შემტკრთალი კიყავ, მაგრამ ვცდილობდი არ გამოშეჩი-

ნა ჩემი მღელვარება. ოთხშაბათს საჩქაროდ ვისადფლერა ჭყალა ტრები წავიღეთ, ჩივსხედით ავტომობილში და გაცემის შემთხვევაში ჩატანი ნიშნულ აღგიღისკენ.

განზრახვა გვერნდა გავფრენილიყავით რამდენსამე მხარეს და პარიზს ახლო ჩამოვსულიყავით, რომ ისევ ჩეარა მიგვეყო ხელი ჩევნის საქმისთვის.

ჩევნი ასაფრენი ბურთი, „Le Faune“, დიდი არ იყო. სა ბის ნახევარზე შშეიღობით ავედით პაერში და სუბუქმა ქარ- ბა იმწამსვე წაგვიღო დასავლეთისკენ.

ასეთმა განსაკუთრებულმა მდგომარეობამ აღტაცებაში შომიყვანა: პატარა ნაეკი მიეცურავდით პაეროვან ტალღებ- ზე გაუნძრევლად, ძალ დაუტანებლივ. დიდებულმა და მძლავ- რმა სიამოვნების გრძნობამ სულ დამავიწყა, რა განსაცდელში ვიყავით. ჩემზე ნაკლებ არც მამაჩემი იყო ბეღნიერი. მა რი- გად, სამივემ რამდენიმე საათი გავატარეთ სიამოვნებაში, ლა- პარაკში გართულებმა და თან ვსტკბებოდით დიდებულ სანა- ხაობით, რომელიც გადაშლილი იყო ჩევნს ქვეით.

საღამოზე ნორმანდიის თავზე ვიყავით.

— რა აღგილს ჩავალთ ძირს? — ვკითხე ეორეს.

— წინადვე მაგის თქმა არ შეიძლება, — მიპასუხა ლიმი- ლით ეორებმა: — უფრო კი ამედია ორნში ჩავალთ.

აგრე აღმოსავლეთისაკენ ვარსკვლავებიც ვამოჩნდა, მა- გრამ ამ ვარემოებამ-კი არ დაგვაშურა ჩამოსვლა დედამიწაზე, უფ- რო შეგვაგულიანა დავრჩენილიყავით პაეროვან სიერცეში: მე და მამაჩემს მეტად გვსურდა ექსასი მეტრის სიმაღლიდან დავ- შტკბარეიყავით ვარსკვლავებით მოქედილ ცის ხილვით. ჩევნ შეგობარს და მესაჭის ეორეს-კი ეშინოდა ძლიერის ქარისა და ნისლისა, რომელიც ცის დასავალზე მოსჩანდა. მაგრამ ჩევნ დაეინებულ თხოვნაზედ უარი აღარ გვითხრო.

სწორედ ეს უარის უთქმელობა იყო უკანასკნელი წერ- ტილი შემდეგის უბედურებისა.

არ გაუვლია ოც წუთს, რომ ძლიერმა ქარმა ჩევნი ბურ-

თო გააქანა ჩრდილოეთისკენ და საჩქაროდ თავი ამოქმედისას და საშინელ ნისლში.

მე და მამაქმა დავაპირეთ მაშინვე დაგვეწუო ძირს ჩამსვლა, მაგრამ ეორემა გვითხრა:

— ამისთანა სისწრაფით ფრენის დროს შეუძლებელია ძირს დაშვება: აუცილებლად დავილუპებით. არა უშეის-რა, კიდევ დრო გვაქვს: თუმცა ჩრდილოეთისკენ მივფრინავთ, მაგრამ ზღვა ჯერ შორს არის.

ეორეი მოსტუუვდა. ქარი საშინელის სისწრაფით მიგვა-ქანებდა ლამანშისკენ და ერთ საათს შემდეგ ზღვის უფსურულ-ზედ ვიყავით. იo, აქ დაიწყო დროამ.

ხომ გესმით, რა სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ჩივ- ცვივდით; გადარჩენა შესაძლებელი იყო ორი გზით: ან ხო- მალდი უნდა შევეხვედროდა, ან ინვლისის ნაპირად მივსული- ყავით. პირველის იმედი მეტად მცირე იყო; დაგვრჩი მეორე: მიგვეხწია ინგლისის ნაპირამდე.

ბურთმა, რაյი დაჭკარგა ნაწილი გაზისა, შესამჩნევად და- იწია ძირს.

— ლოდინი შეუძლებელია! — სთქვა ეორემა: გადაყარეთ, რაც აუცილებლად საჭირო არ არის.

ცოტ-ცოტად გადაყარეთ ნაეიდან ბარგი. — მაგრამ რამ- დენიც მაღლა შეატუნებდა ქარი ბურთს, იმდენი ძირს იწე- ოდა და უფრო-და-უფრო ისმოდა შემძრწუნებელი ხმა ზღვის- ტალღებისა... პალტოვები და ზოგი ტანსაცმელიც გადავყა- რეთ. სიციეით ვკან ქალებდით სუსხიან ქარში და ტუკილად ვეძებდით მიწას გადასარჩენად.

— ბადრეში გადავიდეთ, სთქვა ეორემა და გადასჭრა ნა- ვის თოკები.

საჩქაროდ ავასრულეთ ყველაფერი და დავინახეთ, რო- გორ დაპროწიალდა ჩეენი ნავი ჰაერში და მერე გაპქრა- წუვდიალში. იმავ წამს ბურთი, რაი შემსუბუქდა, კარგა მაღ- ლა ავიდა.



აღარ მოგაწყენთ თავს, ვეცდები მოკლედ მისტიკის უნიკალურობა
ცოტა ხანს შემდეგ, ბურთმა ისევ დაბლა-დაბლა დაიწია.
საშინელი წამები განვიტალეთ.

— მაში, სამიერნი უნდა დავიხოცნეთ? — წარმოესთქვი გა-
მწარებლება.

— ლიკალ, — მიპასუხა ეროვნულია: — თუ ერთმა ჩვენგანმა არ გასწირო თავი, რადგან გადასაგდები აღარა გვაძეს-რა.

— მე უველიანე მოხუცი ვარ, განატადა მამაჩემია: მე
უნდა შემოგწიროთ თავი.

— არა! — სოდევა ეორებმა: როგორც მესაკე, პისუხს ვაგებ
თქვენის სიცოცხლისათვის და თქვენს დასახსნელად მე უნდა
შემოფზიროთ თავი. თუ მიაღწიოთ ნაპირს, მხოლოდ კლაპა-
ნის თოკები მოსწიოთ.

მე წინააღმდეგობა გამოვატადე და უთხარი, მეც არა
მიშლის-რა თავი გავსწირო.

— მაში, — სთქვა ეორუმა: — ბედმა გალასწყვიტოს.

საჩქაროდ სამ პატარა ჭალალდნე დასწერა ჩვენი სიხე-
ლები, მუჭაში შეკუტმა და თოქვა:

— აარჩიეთ, ვინ იყოს პირველი მსხვერპლი!

პირველად კორექს ერგო. ხელი აიქნია გამოთხვების ნიშნად და იმ დროს, როცა ჩეუნ შიშით ოვალები დავხუჭევ, ის ძირს გადაეშევ.

გაიარა 15 წუთშა. ჩეკენმა ბუროშა მის დაიწია, ბურუ-
სი გაიფანტა. ვარსკელივები თავზე დავენათოდა. ძლიერი, მა-
გრამ ერთმხრივი ქარი სულ ჩრდილოეთისკენ შიაჭროლებდა
ჩეკენ ბუროს. მიწი მარწვევისადა სჩინდა.

უბედურ კორეის თავ-განწირეა უსარგებლო იყო: ჩქარა
შე და მამაჩრდიც ზღვის ზეირთებში უნდა დაღუპულიყოთ.

— იქნება ერთ-ერთი ჩვენგანი ბეღმა გადაარჩინოს, —
შეუძლია მაშამ: შენ ჯიბეში ორი ბარათი გაქვს ჩვენის სახელე-
შით. აბა, ამოილე!

მამამ გამომართო ერთი ბარათი და, რომ გახსნებული შევიდებული სოჭვა:

— ჩემი რიგია!

წინააღმდეგობა მინდოდა, ხვეწნა... მაგრამ შიშით და-მუნჯებულს კრინტი არ დამიძრავს; თითქოს ბურანში გაფი-გონე ილერსიანი სიტყვები: „მშვიდობით, შვილო!“ და მას-თანავე მომესმა ტყლაშანის ხმა.

ბურთი კიდევ იხტა ზევით. მარტოდ-მარტო მიუკრე ამ მცირე საფარს და მიყორინავდი უაზროდ და უგრძნობლად.


რასაკეირველია, მეტი იქნება დაუშატო, რომ მე ორის მსხვერპლის გამო გადავრჩი. ასე რომ არ მომხდარიყო, ვერც გიაშბობდით ამ შემთხვევას. მხოლოდ მსურს თქვენი ყურად-ლება მივაქციო იმ გარემოებას, რომ მამიჩემის თავ-განწირვა-ში იყო ნაწილი არა-ჩვეულებრივის გმირობისა.

როგორ მივაღწიე ნაპირს, იმის ანგარიშის მოცემა არ შემიძლიან. ვიცი მხოლოდ, რომ მე ამიყვანეს ინგლისის ქა-ლაქ ქორტინგის მახლობლად; მთლიად სისხლში ვიყავ მოსვ-რილი, დამტვრეული და გიფის მხგავსი გამოვლილ საშინელე-ბის მიზეზით. ხელში მიგრა მექირა დასრუსილი ქალალდის ნა-ხევი. უაზროდ გავხსენი: ზედ მამიჩემის სახელი იყო და არა ჩემი...

ბედის მე მარგუნა თურმე სიკედილი, მაგრამ მიმამ მო-მატუუა. იმ იმედით, იქნება შვილი გადარჩესო, ბედის წინა-აღმდეგ, თავის თავი გასწირა!

ელ. ანტონოვსკისა.





პარლების სამეფო.

(ზღვაპირი რესუდადან).

9

ამიტომ ბნელი სალაშო იყო. ბარდნიდა. ზოგ-ჯერ წამოუბერიავდა ხოლმე გიერი ქარი, მომხვე-ტავდა თოვლს და გაბრაზებული იყრიდა იქვე მიწურის ფანჯარას; გამჭვარტლული შუშა შე-შინებულივით კანკალებდა და ზრიალებდა; ვა-მდნარი თოვლი ცრემლებივით ჩამოდიოდა ქვევითკენ. ეს ფან-ჯარა ეკუთვნოდა პატია ოთახს, სადაც ივადმყოფ შეიღლის გვერდით იჯდა იხალგაზიდა დედა. ოთახში თითქმის ბნელოდა; ხანდისხან ბუხარში მბერეტავი ცეცხლი უცბად აპრიალდებოდა და ნათელსა ჰქენდა პატარა ივადმყოფის ოქროსფერ თავს და სიცხისაგან გაწითლებულ ლოყებს. ოთახში სიცივე და დუმი-ლი სუჟვედა; მხოლოდ ხანდისხან ისმოდა შუშების ტკაცა-ტკაცა და ქარის ზუზუნი. საცოდავი დედა ყურს უგდებდა ქარის ძრუხარე სიმღერას და თავის უბედუონობის ფიქრში იყო. დიდი ხანი არ არის, რაც დამარხა უფროსი შეიღლი და აი ახლა ივად გახდა სუსველაზე პატარა მშიარული ლი-დი. ვიღასთვის უნდა ვიცუაცხლო, თუ ბედმა ეს უკანასკნელი საუნჯეც მომტაცო? და ნელა ჩამოსდიოდა საწყალ დედას თვალებიდან ცრემლები.

— მნელია, ძალიან მნელი, ქვეყნად ცხოვრება — ბურპუ-



ტებდა დედა: მე სამუშაოლ დავდივარ, ბავშვი მარტინი გადასახლდა
მა, ყურს არავინ უგდებს. მერე არამდენი უნდა ვიწვუშვო,
რომ შიმშილით არ დავითოცნეთ. ნერთა შემეძლოს სულ ასე
ვიჯდე მოსვენებით და არაფერი არ მესმოდეს.

დედა დაფუქრებით შესცემოდა ნახვერად გამჭრალ ცე-
ცხლსა და ათასნაირი მწარე ფიქრები უტრირალებდა თავში.
უბრალ შეკნიშნა, რომ მიმჭრალი მუგურსლები თან-და-თან
ლევიდებოდა და მაღვე ცეცხლი ისე გაძლიერდა, რომ იმისმა
აღმა მთლიაუ გაანთოა აქამდის ბნელი ოთახი. ჰაერში ვარდის
მშვენიერი სუნი დატრირალდა და გაისმა ნაზი წერიალა ხმა:
„მარიანა.“ დედამ მიიხედა და ცეცხლის ვარდის ფერ აღმი
გაარჩია შშვენიერი ფერია; იმისი ლაშაზი ტანისამოსი სულ
ოქრო-ვერცხლივითა ბრწყინვადა; ოქროს ფერ ხუჭუჭე თბიზე
ვარდების ლაშაზი გვირვეინი ედგა.

— ნუ გეშინიან! — სთქვა ფერიამ: შე ვარდების დელოფა-
ლი ვარ. იქ, ჩემ სამეცნიშვი, მესმოდა ადამიანების კვერცა-ტი-
ჩილი. თქვენ იტანჯებით, სიღარიბეში სული გელევათ, მა-
გრამ მაინც გიყვართ ეს ქვეყანა. აი, თუნდა შენ წამოდი
ჩემთან ვარდების სამეცნიშვი; იქ ყოველთვის ბეჭნიერი და
მხიარული იქნები; მხოლოდ ერთი პირობა უნდა მომუკე: თა-
ვის დღეში ვეღარ დაუბრუნდები წინანდელ ცხოვრებას და
ადამიანებს.

— ո՞վ! Շեքսպիրն ա սարդալիմ գրեթամ: Եյ մեռլուծ մուսցը-
նցին մոնձա, թրցու առացըրո. Սրուլլցիոտապ առ թյօնանցին յև մաս-
պան. զի սօմթահուս ճա շոքելուրցին թրցու հա մոնթացի? ուր-
հիբո լուսու տան թյօնալցի, սրուլու ծցանոյրո զոյնցին Շեն
սամցուանի.

— შენი შეკლი შენთან იქნება — სთქვა ფერით, — იმ დრო-
მდის, ვიღრე თვითონ არ მოისურვებს აღმიანებთან წამოსუ-
ლას. აბა, აიყვანე და წავიდეთ.

ფერიამ დაიწნია ოქტოს ჯოხი. ოთხის კელლები გირ-
ლვა და გაშენა. ფერია და შარიანა ქალაქ ზევით მიღრინა.



დღნენ. ქუჩები ძირს მიიკულავნებოდა, და მიღი-მოღირული ზალი ხი. ბოლოს ქალაქიც გაერა, მხოლოდ აქა-ეკ კილტებ შეკრულება და თარინები. ამავა ისინი მიფრინავდნენ მინცვრებ ზევით.

— ეს რა არის? — იყოთხა მარიანამ, როდესაც შორიდან
რაოდენიც ხდა მოვსმა.

— ეგ ზღვაა, — უპისუხა ფერიამ, — მალე დაინახავ ყველა-
ოფტას.

ხშაურობა უფრო და უფრო ახლოვდებოდა და გადიქცა
ბოლოს საშინელ გრავინვალ; გალოშებული ქარი გიუიკით
ჰელუჯდა მარიანას კაბასა და თმებსა. მარიანამ ჩიხედა ქვე-
კით. მოების ოდენა ტალღები ზევით-ზევით იწევდა, თითქოს
სწვდებოდა მარიანას თაცისი თეთრი მყლოები და მერე საში-
ნელი ხარხარით ცვილდა ძირს და იმათ შეგიცრად ახლა სხვა-
ტალღები მოდიოდა. შეშინებულმა მარიანამ თვალები დახუ-
კა და შეგრა მოჰკვია ხელები ბავშვს.

— Հա Տանյուլյան! Քանի՞րեմիցը թարգանամ.

— ნუ გეშინიან, შენ ხომ ჩიტოანა ხარ! დამშვიდა ფერიაშ: აბა, ახლა გაიხედე, რა შვეენიერებაა!

დელვა გათაცებულიყო. მოვარეს გაშორები თავი ვერცხლის ფერ ღრუბლებიდან და გაენათებინა ძირს გადაშლილი მინდობი და გატიტვლებული, თითქოს რაღაზედაც ჩიტიქრებული ტყე.

— რა კატეგორია! შეტყვეირთა პარიანამ.

— Է՞ս! Ցացրած օյակը և պեղոցը ունեցան առամունքներ, օյակը շնորհած յշտը լուսվեա-թարրութեան, օյակը ունանչեցին. Եթե առ ցոնճա մազառուան դարի՞նէ?

— არა, არა... წავიდეთ; ალარ შინდა ტანჯვა. და კულაფ გაფრინდნენ. გავიდა ასმდენიმე ხანი და უბრალ ცის დას-ვალზე გამოჩნდა ნათელი ჭოლი.

— აგერ შორიდან სჩანს ვარდების სამეფო, სოქვა ფერია. ნათელი ზოლი თან-და-თან დიდდებოდა და ბოლოს გადაეცინა მთელ ცას. პეტრი გათხა, დატრიალდა ვარდების

საუცხოვო სურნელება. მარიანას თვალშინი გადაეშალა მუსიკურის მარმტაცი სურათი.

ზღვის პირას ცის ფერ ბურუსში მოსჩანდა მთები, რომლის კალთებიც მოფენილი იყო ვარდის ათასნაირი ბუქებით. რა ფერის ვარდი გინდოდაც, რომ აქ არ ყოფილიყო! ნაზი ყველები ვარდები ლამაზად იყო არეული ალისფერსა და თეთრებში; იქვე ყვაოდა წითლები და თითქმის შავებიც. ყველაზე მაღალი მთა მოფენილი იყო მკრთალი პირისფერი ვარდებით; იმათ შუა მოსჩანდა მშვენიერი ციხე-დარბაზი. და დარბაზის კედლები ვარდებისგან იყო დაწნული პატარა ბიჭები და ირველიც სვეტები მორთული იყო ათასნაირ ვარდის გვირგვინებით, რომლებიც წყნარად ირხეოდნენ ნაზის ნიავის-განაც-კი. ფანჯრებზე ჩამოყიდებული ვარდის ფურცლების ფარდები, მშვენიერ სურნელობასა ჰუწნდა ვარშემო.

გაირბინა ბევრმა დღეებში. მარიანა და ლიდი მთელი დღე სეირნობდნენ მშვენიერ ბალში, დაცურავდნენ დიდი ლოკუნით ზღვაში, ან ისევებდნენ ლამაზ გამოქაბულებში. მთელ დღეს ვარდებ შორის ატარებდნენ. მერე რა მშვენიერი ვარდები იყო! ამაყად იქნევდნენ თავიანთ კოსტა თავს და ხან ერთ მხრისაკენ დაიხრებოდნენ, ხან მეორესკენ: გეგონებოდათ—რაღაც საიდუმლო ამბავს უზიარებენ ერთმანეთსაო. ზღვის ნაპირას წყალში იყუჩებოდა ვარდების მთელი თაიგული. გადაპხვეოდნენ ერთმანეთს, დაეხარათ თავები და თვალს არ აშორებდნენ თავიანთ სურათს წყალში. ამბობდნენ, რამდენსამე ასის წლის წინად ეს ვარდები ყველაზე ლამაზები იყვნენ და მთის წვერზე იზრდებოდნენო; მათ უგალობდნენ ფრინველები თავიანთ სიმღერებს, კრელი პეპელები თავს ევლებოდნენ, ქარიუ-კი ალერსით არხევდა, თითქოს ტკბილ ნანას ეუბნებათ. მოუნდათ ბოლოს ვარდებს გაგება—



მართლა ისე შეკენიერები ვართ, როგორც აქეთ-ი-ქრისტიანი მის, თუ არავ? ერთ ღამეს, როდესაც ყველამ დაიძინა და ცისფერ ბურუსში გაეხვია არე-მარე, ჩამოვიდნენ ზღვის პი-რად. მოუთმენლად ელოდნენ ვარდები გათენებას. როდესაც შეე ამოვიდა და გაპტანტი ბურუსი, ვარდებმა დაინახეს წყალ-ში ისეთი შეკენიერი სურათი, რომ თვალი ველარ მოშორეს. მას შემდეგ დგანან ზღვის პირად და ლიმილით შეჰყურებენ თავიანთ სურათს.

